

მრავალდარგობრივი მიდგომა მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემის კვლევაში

ბოლო ორიოდ წლის განმავლობაში დასავლურ ეთნომუსიკოლოგიაში იგრძნობა ინტერესის გაღვიძება ისეთი ზოგად-თეორიული საკითხების მიმართ, როგორცაა მუსიკის წარმოშობა, ან ეთნომუსიკოლოგიურ კვლევაში შედარებითი მეთოდების გამოყენება. თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი ფლაგმანის, მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2000 წელს გამოცემული დიდტანიანი ტომი „მუსიკის წარმოშობა“, რომლისთვისაც სტატიები დაწერეს სხვადასხვა დარგების მონიწივე მეცნიერებმა, ამ მხრივ ახალ საინტერესო ჰორიზონტებს სახავს მუსიკოლოგიაში (იხ. Wallin at all., 2000) სასიხარულოა, რომ ამ გამოცემის ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი, სტივენ ბრაუნი, ჩვენი სიმპოზიუმის მონაწილეა. შედარებითი კვლევის მეთოდების აღდგენის ცდა აშკარა იყო 2001 წელს რიო დე ჟანეიროში ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს მიერ ჩატარებულ 36-ე მსოფლიო კონფერენციაზე. მართალია, როგორც ეს იქნა აღნიშნული შედარებითი კვლევისადმი მიძღვნილ არაოფიციალურ შეხვედრაზე, შედარებითი კვლევა მორიდებულად იყო წარმოდგენილი კონფერენციაზე, აღნიშნული თემატიკის გამოჩენა ეთნომუსიკოლოგთა ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო თავყრილობაზე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

დღეს, 21-ე საუკუნის პირველ წლებში, ჩვენ გაცილებით მეტი ვიცით მსოფლიოს ტრადიციული მრავალხმიანობის კერების შესახებ, ვიდრე ეს ჩვენმა კოლეგებმა იცოდნენ ერთი ან თუნდაც ნახევარი საუკუნის წინ. მარიუს შნაიდერისა და მის თანამედროვეთათვის მრავალხმიანობა წარმოადგენდა ერთხმიანობის განვითარების ბუნებრივ შედეგს და მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემა დაიყვანებოდა საკითხებამდე თუ სად, როდის და რა გზებით ჩაისახა პირველად ეს მოვლენა, რის მერეც იგი გავრცელდა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში (Schneider, 1969). საინტერესოა, რომ მრავალხმიანობის ერთხმიანობიდან წარმოშობის იდეა არასოდეს ყოფილა ჩამოყალიბებული თეორიის ან თუნდაც ჰიპოთეზის სახით. ეს იყო მუსიკოლოგების საერთო რწმენა, რომელსაც არავითარი დასაბუთება არ სჭირდებოდა — ევოლუციური კიბე ერთი შეხედვით უფრო მარტივი მოვლენიდან (ერთხმიანობა) უფრო რთული მოვლენისაკენ (მრავალხმიანობა).

მრავალხმიანობის წარმოშობის თანამედროვე მიდგომა უნდა განიხილავდეს მრავალხმიანობას, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოციალურ მოვლენას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური საზოგადოებისა და ენის ევოლუციასთან. მრავალდარგობრივი მიდგომა მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემისადმი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მთელ რიგ დარგებში მონაცემთა დაგროვება გვაძლევს საშუალებას, რომ ვოკალური მრავალხმიანობის საწყისებს ახლებური თვალთ შევხედოთ. მაგალითად, ეთო-

ლოგის (მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ცხოველთა ქცევას) წინსვლამ მოგვანოდა ახალი ფაქტები ცხოველთა სამყაროში კოორდინირებული ჯგუფური სიმღერის შესახებ. დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ გუნდები („ქორუსები“) და განსაკუთრებით — კოორდინირებული დუეტები არაა უცხო ცხოველთა სამყაროში (Gittens, 1978; Geissmann, 2000). მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ დუეტები და „ქორუსები“ ახასიათებთ იმ პრიმატებსა და ჩიტებს, ვისაც ახასიათებთ მონოგამურობა (ერთცოლიანობა) (Geissmann, 2000; Marler, 2000). მამრობითი და მდედრობითი სქესის პარტნიორებს შორის დუეტებში სიმღერა მათი ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ზოგიერთ ჯიშებში მშობლების დუეტს ზოგჯერ მათი შვილებიც უერთდებიან და სრულყოფილ საოჯახო „ანსამბლს“ ქმნიან (Geissmann, 2000). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს **სოციალური ფაქტორის** მნიშვნელობას მრავალხმიანობის ევოლუციურ სათავეებში. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ჯიშში (მაგალითად, ვეშაპებში) მხოლოდ მამლები მღერიან. ასეთ შემთხვევაში სიმღერა წარმოადგენს მამლებს შორის კონკურენციის (და არა ურთიერთთანამშრომლობის) ფორმას და მათ მიერ რთული სასიმღერო კომპოზიციების შესრულების ძირითადი მიზანია მდედრობითი სქესის წარმომადგელების ყურადღების მიქცევა. თუ ეთოლოგების სფეროდან მოტანილ ამ ფაქტებს გავითვალისწინებთ, ალბათ, სწორი იქნება დავასკვნათ, რომ ადამიანთა ვოკალური მრავალხმიანობის სათავეში კოოპერაციული (და არა კონკურენციული) საფუძველია ჩადებული.

ჩემეული მოდელის მიხედვით, კოორდინირებული ჯგუფური სიმღერის სათავეები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სოციალურ ჯგუფებს შორის კოოპერაციულ ქცევასთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სოციალური კოოპერაცია იყო (და არის) პრიმატთა გონებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (Whiten & Byrne, 1988; Ujhelyi, 2000).

მსოფლიოს მუსიკალური კულტურების ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსალურ ნარმოადგენს დიალოგიური სიმღერის სხვადასხვა ფორმები — ანტიფონური და რესპონსორული (Jordania, 1989; იხ. ასევე Zemtsovsky, 1986). ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ აქა ვოკალური მრავალხმიანობის სათავეები თავისთავად რესპონსორულ სიმღერასთან უნდა იყოს დაკავშირებული შეკითხვის ფენომენის გაჩენა. ბოლო რამდენიმე პუბლიკაციაში მე დავაყენე საკითხი, რომ შეკითხვის ფენომენის გაჩენა წარმოადგენდა ადამიანის გონებრივი განვითარების ყველაზე რევოლუციურ ცვლილებას (Jordania, 2000, 2002). შეკითხვის ფენომენის უდიდესი მნიშვნელობა გამოიხატებოდა არა მარტო იმაში, რომ მოხდა თითოეული ინდივიდის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება, არამედ იმაში, რომ მოხდა მთელი სოციალური ჯგუფის გონებრივი შესაძლებლობების რევოლუციური გაფართოება *თითოეული ინდივიდის* გონებრივი შესაძლებლობების კოორდინირების საფუძველზე. შესაბამისად, შეკითხვების გაჩენამ წარმოშვა ახალი ფენომენი — ჯგუფური აზროვნება და გონებრივი კოოპერაცია, ადამიანის აზროვნების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი.

შეკითხვის ფენომენის წარმოშობამ ჰომინიდების ტვინი აქცია ღია,

თვითგანვითარებად სისტემად. ჩვენ ადრეული ბავშვობიდან გონებრივად ვვითარდებით შეკითხვების მიცემით და ამ შეკითხვებზე პასუხების ძიებით.

შეკითხვის ფენომენის გაჩენას რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანური ენის ევოლუციაშიც. მხოლოდ შეკითხვა აქცევს კომუნიკაციას ნამდვილ დიალოგად. კომუნიკაცია შეკითხვების გარეშე შედგება მხოლოდ განაცხადებისა და ბრძანებებისაგან.

შესაბამისად, ჩემეული მოდელის მიხედვით, გონებრივი და ენობრივი რევოლუცია ადამიანის განვითარებაში დაკავშირებულია შეკითხვის ფენომენის გაჩენასთან, და შესაბამისად – დუეტური და ჯგუფური სიმღერის პირველ ფორმებთან (განსაკუთრებით – რესპონსორულ სიმღერასთან). გავისხეწოთ, რომ ერთ-ერთი უძლიერესი ენობრივი უნივერსალია – შეკითხვის ინტონაცია, ფაქტობრივად მუსიკალური (ბგერათსიმალღებრივი) უნივერსალიაა, რომლის სათავეები პრეისტორიულ „მუსიკ-ენაში“ უნდა ვეძიოთ (ტერმინი ეკუთვნის სტივენ ბრაუნს. Brown, 2000). შეკითხვის ინტონაცია არსებობს მსოფლიოს ყველა ენაში (მათ შორის ტონურ ენებშიც) და მას ყველგან მსგავსი მნიშვნელობა აქვს (იხ.: Cruttenden, 1986).

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ შეკითხვის ფენომენის გაჩენა (და შესაბამისად, ადამიანის ევოლუციაში გონებრივი და ენობრივი რევოლუცია) დაკავშირებულია მრავალხმიანი სიმღერის სათავეებთან.

კიდევ ერთი, ძალზე დიდი მნიშვნელობის პრობლემა, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მრავალხმიანობის საწყისების კვლევაში, არის მრავალხმიანობის არათანაბარი გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ფრანსუა-ბერნარდ მაშეს მტკიცების საპირისპიროდ (Mache, 2000:475), ბურდონზე აგებული პენტატონიკური მრავალხმიანობა არ წარმოადგენს მსოფლიო უნივერსალიას. უფრო მეტიც, მსოფლიოს მუსიკალურ კულტურათა ნახევარზე მეტში საერთოდ არ შეინიშნება ვოკალური მრავალხმიანობის მეტ-ნაკლებად სერიოზული ელემენტები (იხ. Jordania, 1989). რა თქმა უნდა, მოკლე სტატიაში შეუძლებელია ვილაპარაკო მსოფლიო მრავალხმიანობის კერების გავრცელების დეტალებზე, მაგრამ მინდა ორიოდ სიტყვით მაინც დავახასიათო ზოგადი სურათი:

მრავალხმიანობის გავრცელების კვლევაზე დიდი ერთიანი რეგიონი დღეისათვის არის საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე აფრიკის კონტინენტი (ეგრეთ ნოდებული „სუბ-საჰარის აფრიკა“).

ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე უმნიშვნელოვანესი რეგიონი არის ევროპა. სუბ-საჰარის აფრიკისაგან განსხვავებით, მრავალხმიანობა ევროპაში წარმოდგენილია არა ერთიანი რეგიონის სახით, არამედ იზოლირებული კერების სახით. მრავალხმიანობის დიდი და პატარა კერები კონცენტრირებულია ევროპის სხვადასხვა რეგიონებში – ძირითადად მთებში, კუნძულებზე, კონტინენტის ჩრდილოეთ პერიფერიაზე და სხვა გეოგრაფიულ იზოლანტებში (მაგალითად, პოლესიეს ჭაობებში).

აზიის სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვანაირ სურათს ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ აზია ძირითადად ერთხმიანი კულტურების გავრცელების რეგიონს წარმოადგენს, დასავლეთ, სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ

და ცენტრალურ აზიაში ვხვდებით საინტერესო მრავალხმიან ტრადიციებსაც (მაგალითად, სპარსეთის ყურეში, ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ მთიან რეგიონში, ანდა სოლო მრავალხმიანობა ცენტრალურ აზიაში). აღმოსავლეთ აზია ალბათ მსოფლიოს ყველაზე უფრო ერთხმიან რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს. ჩრდილოეთ იაპონიაში მცხოვრები აინების მრავალხმიანობა კი, ალბათ, ვოკალური მრავალხმიანობის ყველაზე უფრო იზოლირებულ კერად უნდა ჩაითვალოს.

ჩრდილოეთ და სამხრეთ **ამერიკელი** ინდიელების მუსიკალურ კულტურათა უდიდესი ნაწილი ერთხმიანობას ეყრდნობა, თუმცა ზოგიერთ კულტურაში არის ვოკალური მრავალხმიანობის საინტერესო ელემენტები (მაგალითად, ბრიტანეთის კოლუმბიაში, კანადის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ანდა სამხრეთ ამერიკის მთიან და ტროპიკული ტყის ზოგიერთ ტომებს შორის).

ავსტრალიის ტრადიციული მუსიკაც ძირითადად ერთხმიან სიმღერას ეყრდნობა, თუმცა ვოკალური მრავალხმიანობის ელემენტები შეინიშნება კონტინენტის უკიდურეს ჩრდილოეთში. მრავალხმიანობის მდიდარი ტრადიციები **ოკეანიაში** (განსაკუთრებით – პოლინეზიაში) საინტერესო კონტრასტს ქმნის გარემომცველ რეგიონებთან (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, აღმოსავლეთ აზია და ავსტრალია).

ვოკალური მრავალხმიანობის კერების არათანაბარი გავრცელების ასახვად მე დავაყენე საკითხი, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ადამიანური კომუნიკაციური სისტემის ბოლო შენაძენი – **დანანევრებული მეტყველება** (იხ. *Jordania, 1989:239-246*). მეტყველების შემოსვლამ გამოიწვია თავდაპირველი „მუსიკ-ენის“ თანდათანობითი (ან უეცარი) განდევნა ადამიანური კომუნიკაციის პერიფერიაზე (სადაც იგი დღემდე იმყოფება). ჯგუფურმა სიმღერამ თანდათანობით დათმო პოზიციები. არსებობს ისტორიულად დაფიქსირებული შემთხვევები იმისა, რომ ხდებოდა ვოკალური მრავალხმიანობის ტრადიციების დაკარგვა (მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპის მთელ რიგ რეგიონებში ეს მოვლენა ბოლო ათასწლეულის განმავლობაში ფიქსირებულია ისტორიულ ჩანაწერებში).

გავითვალისწინე რა ვოკალური მრავალხმიანობის პირველადი ფორმების არქაულობა და მისი ფუნქციის ზოგადი დაქვეითება მეტყველების მიერ ცენტრალური ფუნქციის მოპოვების შემდგომ, ჯერ კიდევ 80-იან წლებში გამოვთქვი მოსაზრება რომ დანანევრებულ მეტყველებაზე გადასვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლოა მომხდარიყო სხვადასხვა ეპოქაში (*Jordania, 1988, 1988a, 1989, 2000, 2002*). ადამიანის წარმოშობის დღეისათვის მიღებული ისტორიული რეკონსტრუქციის მიხედვით, ადამიანთა პირველ ჯგუფებს, რომლებიც განსახლდნენ აფრიკიდან, როგორც ჩანს, ჯერ არ ჰქონდათ დანანევრებული მეტყველება. შესაბამისად, არის დიდი თეორიული შანსი, რომ დანანევრებულ მეტყველებაზე გადასვლა სხვადასხვა რეგიონში (და სხვადასხვა პირობებში) მოხვედრილ ადამიანთა ჯგუფებს შორის მომხდარიყო სხვადასხვა დროს, **არასინქრონულად**.

თუკი გავითვალისწინებთ მრავალხმიანობის კერების გავრცელების დღეისათვის არსებულ სურათს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ შედარებით

ადრე დანაწევრებულ მეტყველებაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის აბორიგენულ მოსახლეობაში (ერთხმიანობის გავრცელების რეგიონები), იმ რეგიონებში კი, სადაც ვხვდებით ვოკალურ მრავალხმიანობას (ევროპა, განსაკუთრებით კი სუბ-საჰარის აფრიკა), დანაწევრებული მეტყველების გაბატონება უნდა მომხდარიყო შედარებით გვიან.

დანაწევრებულ მეტყველებაზე არასინქრონული გადასვლის იდეიდან გამომდინარე, დავინტერესდით მეტყველების პათოლოგიის სხვადასხვა ფორმით (განსაკუთრებით ენაბლუობითა და დისლექსიით). მეტყველების პათოლოგიის სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ენაბლუობის მიზეზი არის ადამიანის ევოლუციის ისტორიულ პროცესში დანაწევრებულ მეტყველებაზე გვიანი გადასვლა (იხ. West at all., 1939; Van Riper, 1971; Bloodstain, 1993:179). ენაბლუობის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლამ დამარწმუნა, რომ არსებობს საოცრად საინტერესო კორელაცია, ერთი მხრივ, მრავალხმიანობის გავრცელების კერებსა და ენაბლუობის უფრო მაღალი პროცენტების მქონე რეგიონებს შორის (Bloodstain, 1993:65-66; Cooper & Cooper, 1993:194-197; Nwokah, 1988), მეორე მხრივ კი – ერთხმიანობის გავრცელების რეგიონებსა და ენაბლუობის ძალიან დაბალი პროცენტების მქონე რეგიონებს შორის (Snidekor, 1947; Stewart, 1959; Bloodstain, 1995:132).

ვუახლოვდები ჩემი ნარკვევის ფინალურ ნაწილს. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, ვარ თუ არა ეთნომუსიკოლოგი? ეს შეკითხვა განსაკუთრებით ხშირად მიჩნდებოდა, როდესაც ვწერდი სტატიას ენაბლუობის შესახებ სინგაპურის მეტყველების, ენისა და სმენის ასოციაციისათვის, ან როდესაც ამერიკელ მეტყველების პათოლოგ, პროფესორ შერი რიისთან ერთად ვმუშაობდი სტატიაზე ენაბლუობის გავრცელების შესახებ ჩინეთში (Reese & Jordania, 2001) (სხვათა შორის, ამ საკითხზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს არავითარი პუბლიკაცია). პასუხი, რომელიც მე მოგნახე ჩემი კვლევითი ინტერესების დასახასიათებლად, ასეთია: მე ვარ მრავალხმიანობის ნარმოშობის საკითხებზე მომუშავე მკვლევარი.

მე არ დავამთავრებ ფორმალური დასკვნებით და მსმენელებს არ შევასვენებ აზროვნების, ენისა და მეტყველების კონტექსტში მრავალხმიანობის ნარმოშობის ჩემეული მოდელის საკვანძო საკითხებს. ამის მაგივრად მინდა ვთქვა, რომ წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ეთნომუსიკოლოგიის საზღვრებში დარჩენის სურვილსა და, მეორე მხრივ, მრავალხმიანობის ნარმოშობის რეალური სურათის დადგენის სურვილს შორის, არ არის ადვილი დასაძლევია. საჭიროა დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ: თუ გვინდა, რომ ვიკვლიოთ ადამიანური ვოკალური პოლიფონიის სათავეები, მრავალდარგობრივი მიდგომა არის ერთადერთი რეალისტური გზა ამისათვის. ერთხმიანობის განვითარების საფუძველზე მრავალხმიანობის გვიანდელი გაჩენის რწმენა აშკარად მოძველებულია და უნდა უარვყოთ. მრავალხმიანობის ნარმოშობის საკითხებით დაინტერესებულ ჩემს კოლეგებს მინდა შევთავაზო, გამოვიდნენ ეთნომუსიკოლოგიის ფორმალური საზღვრებიდან და განიხილონ ეს საკითხი ადამიანური აზროვნების, ენისა და მეტყველების ევოლუციის შუქზე.

not be resolved easily. If we want to search for the origins of human vocal polyphony, a multidisciplinary approach is the only realistic way to do this. The old belief of musicologists and ethnomusicologists in the late development of vocal polyphony as a cultural phenomenon is definitely outdated. There is no easy answer to the problem of the origins of vocal polyphony. I invite my colleagues who are (or will be) interested in this fascinating subject, to leave the formal borders of ethnomusicology and musicology and look at the problems of the origins of human singing abilities (and group singing as well) in the light of the latest developments in the evolution of human cognition, language and speech.

References

- Bloodstain, Oliver. (1993). *Stuttering: The search for a cause and cure*. Boston: Allyn and Bacon.
- Bloodstain, Oliver. (1995). *A handbook on stuttering*. Fifth edition. San Diego: Singular Publishing Group, Inc.
- Brown, Steven. (2000). The "Musilanguage" Model of Music Evolution. In *The Origins of Music*, Edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 271-300.
- Cooper, Eugene B., and Chrystal S. Cooper. (1993). "Fluency Disorders", in *Communication Disorders in Multicultural Populations*. Edited by Dolores E. Battle. Boston: Andover Medical Problems. Pg. 189-211.
- Cruttenden, Alan. (1986). *Intonation*. Cambridge: Cambridge University Press.
- Finn, Patric, and Anne K. Cordes. (1997). Multicultural identification and treatment of stuttering: A continuing need for research. *Journal of Fluency Disorders* 22:219-236.
- Geissmann, Thomas. (2000). Gibbon Songs and Human Music from an Evolutionary Perspective. In *The Origins of Music*, Edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 103-124.
- Gittens, P. (1978). Hark the beautiful song of the gibbon. *New Scientist* 80:832-34.
- Jordania, Joseph. (1988). Genezis mnogogolosia i problema proisxozhdenia chlenorazdelnoi rechi [Origins of polyphony and the problem of genesis of articulated speech], in Materials of the conference *Problems of Folk Polyphony*, edited by Joseph Jordania, Tbilisi: Tbilisi State University Press. Pg 21-23. (In Russian.)
- Jordania, Joseph. (1988a). Narodnoe mnogogolosie, etnogenez i rasogenez [Folk polyphony, ethnogenesis and race genesis]. *Sovietskaia Etnografia* 2:23-33. (In Russian with English summary.)
- Jordania, Joseph. (1989). *Gruzinskoe traditsionnoe mnogogolosie v mezhdunarodnom kontekste mnogogolosnix kultur: k voprosy geneezisa mnogogolosia [Georgian traditional polyphony in international context of polyphonic cultures: The problem of origins of polyphony]*. Tbilisi: Tbilisi State University Press. (In Russian with English summary.)
- Jordania, Joseph. (1997). Perspectives of interdisciplinary research of part-singing phenomenon, in *Ethnomusicology and historical musicology - Common goals, shared methodologies?* Erich Stockmann zum 70 Geburtstag. Edited by Christoph-Hellmut Mahling and Stephan Munch. Tutzing: Verlegt Bei Hans Schneider. Pg. 211-216.
- Jordania, Joseph. (2000). Question Intonation, Speech Pathologies, and the Origins of Polyphony, in *Problems of Folk Polyphony*. Edited by Rusudan Tsursumia et al, Tbilisi V. Saradjishvilil State Conservatoire, Pg. 143-155. (In Georgian with English summary).

- Jordania, Joseph. (2001). Moral Models and Ethics in the Study of the Origins of Choral Polyphony, in *Problems of Polyphony in Sacred and Secular Music*. Edited by Rusudan Tsurtsumia et al, Tbilisi: V. Saradjishvili State Conservatoire, pg. 328-345. (In Georgian and English).
- Jordania, Joseph. (2002). Etnomuzikologia: Mezhdisciplinarnie perspektivy. (Ethnomusicology: Interdisciplinary Prospects) In *The Art of the Oral Tradition: Historical Morphology*, edited by Nailia Almeeva et al. Russian Institute for the History of the Arts: Sanct-Petersbourg, 2002. Pg.: 236-249. (In Russian).
- Mache, Francois-Bernard. (2000). The Necessity and Problems with a Universal Musicology. In *The Origins of Music*, edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg: 473-480.
- Marler, Peter. (2000). Origins of Music and Speech: Insights from Animals. In *The Origins of Music*, edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 31-48.
- Merker, Bjorn. (2000). Synchronous Chorus and Human Origins. In *The Origins of Music*, edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 315-328
- Nwokah, Evangeline E. (1988). The imbalance of stuttering behaviour in bilingual speakers. *Journal of Fluency Disorders* 13:357-373.
- Payne, Katharine. (2000). The Progressively Changing Songs of Humpback Whales: A Window on the Creative Process in a Wild Animal. In *The Origins of Music*, edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 135-150.
- Reese, Sheree, and Joseph Jordania. (2001). Stuttering in the Chinese Population in some South-East Asian Countries: A Preliminary Investigation on Attitude and Incidence. Was published as a part of Online Conference in October 2001: <http://www.mnsu.edu/dept/comdis/isad4/isad4con.html>
- Richmann, Bruce. (1993). On the evolution of speech: singing in the middle term. *Current Anthropology* 34:721-22.
- Schneider, Narius. (1969). (1st edition 1934, 1935.) *Geschichte der Mehrstimmigkeit*. Tutzing: Schneider.
- Snidekor, John. (1947). Why the Indians does not stutter. *Quarterly Journal of Speech* 33:493-95.
- Ujhelyi, Maria. (2000). Social Organisation as a Factor in the Origins of Language and Music. In *The Origins of Music*, edited by Nils Wallin, Bjorn Merker and Steven Brown. MIT Press. Pg. 125-134.
- Van Riper, Charles. (1971). *The nature of stuttering*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Wallin, Nils L., Bjorn Merker, and Steven Brown (Editors). (2000). *Origins of Music*. MIT Press.
- West, Robert, S. Nelson, and M Berry. (1939). The heredity of stuttering. *Quarterly Journal of Speech* 25:23-30.
- Whitten, Andrew, and Richard W. Byrne. (1988). The Machiavellian intelligence hypothesis, in *Machiavellian intelligence: social expertise and the evolution of intellect in monkeys, apes, and humans*. Edited By Richard W. Byrne and Andrew Whiten, Pg. 195-207. Oxford: Clarendon Press.
- Zemtsovsky, Izaly. (1986). Problema muzikalnoi dialogiki: antifon i diafonia [The problem of the musical dialogue: Antiphony and diaphony], in *Problems of folk polyphony*, edited by Joseph Jordania. Tbilisi: Georgian Musical Society Press. Pg. 9-11 (In Russian.)